

შპს „ასკანელი ვაინერი & დისტილერი“

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით
მომზადებული 2021 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	8
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....	10
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	11-31



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ასკანელი ვაინერი & დისტილერი“-ს მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ასკანელი ვაინერი & დისტილერის“ (შემდგომში „კომპანია“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებასა და კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას ამავე თარიღით დასრულებული წლებისათვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აბზაცში აღწერილი განმარტებისა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლებისათვის, რომელიც დასრულებულია მოცემული თარიღით და შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (ფასს).

პირობითი მოსაზრების საფუძველი

მარაგები

ჩვენ ვერ დავესწარიტ მარაგების ინვენტარიზაციას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან აღნიშნული თარიღი წინ უსწრებდა ჩვენი, როგორც აუდიტორებად დანიშვნის თარიღს. კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერების თავისებურებებიდან გამომდინარე, სხვა ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით მიგვეღო აუცილებელი და შესაფერისი მტკიცებულება მარაგების რაოდენობაზე, რაც ფინანსურ ანგარიშგებაში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია 3,786,727 ლარით. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები მარაგებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ძირითადი საშუალებები - შენობა-ნაგებობები

კომპანიის ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მე-4 პუნქტში ასახული ძირითადი საშუალებებიდან შენობა-ნაგებობების წილის ისტორიული ღირებულების დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტაციის წარდგენა. ამ მიზეზის გამო, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე სახის ჩასწორება ამ ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებების, გაუნაწილებელი მოგებისა და ცვეთის ხარჯების წარდგენილ მონაცემებთან დაკავშირებით.

ინვესტიცია

აუდიტის პროცედურების დროს ჩვენ ვერ მოვიპოვეთ შპს „ჩხავერის ვენახები“-ს, რომელშიც კომპანია ფლობს მაკონტროლებელ წილს, ბუღალტრული და აუდიტის პროცედურებისათვის საჭირო სხვა ფინანსური დოკუმენტაცია. შესაბამისად ვერ დავადგინეთ რა გავლენა შესაძლოა ჰქონდეს შპს „ჩხავერის ვენახები“-ს ანგარიშგებას ჯგუფის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ აბზაცში. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA) შესაბამისად და საქართველოში მოქმედი ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ეთიკური მოთხოვნების გათვალისწინებით, ჩვენ ვართ კომპანიისაგან დამოუკიდებლები და ასევე ჩვენი ქმედებები შესაბამისობაშია IESBA კოდექსით განსაზღვრულ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მიერ მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს აუდიტორული დასკვნისთვის საკმარის და მართებულ საფუძველს.

მმართველობითი ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს მმართველობით ანგარიშზე. ჩვენი დასკვნა, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ, არ მოიცავს მმართველობით ანგარიშს. ჩვენი პასუხისმგებლობა, ჩვენ მიერ კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, მოიცავს ზემოთ ხსენებული მმართველობითი ანგარიშის გაცნობას და განსაზღვრას, არის თუ არა მმართველობითი ანგარიში არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში მიღებულ ცოდნასთან, ან სხვაგვარად ხომ არ მოიცავს არსებით უზუსტობებს.

ჩვენ არ გავცემთ არანაირი სახის მარწმუნებელ დასკვნას მმართველობითი ანგარიშის შესახებ. მმართველობითი ანგარიშის გაცნობის შემდეგ და ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს შედეგად, ჩვენ გამოვთქვამთ ზარს იმასთან დაკავშირებით, რომ მმართველობითი ანგარიში: არის შესაბამისობაში კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან და არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;

მოიცავს ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე ისეთი შიდა კონტროლის შექმნაზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს, აქვს თუ არა კომპანიას უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ; გასცეს

ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის შესაბამისი პრინციპი მანამ, სანამ კომპანიის ხელმძღვანელობა არ გადაწყვეტს კომპანიის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეწყვეტას, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოდ მოცემული ქმედებებისა.

მმართველობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხს აგებენ კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ გონივრული რწმუნება იმის თაობაზე, რომ მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე

რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

ესწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დაეგვემოს კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოეთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო ქეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობები, რომლებმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენს აუდიტორის დასკვნაში გვევალება ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი მსჯელობები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო და კომპანია იძულებული გახდეს შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ.

ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების საძირითადი წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში ჩამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი

ირმა ხაჩიძე (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-683479)

შპს „გროუ კონსალტინგი“ (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-423183)

2022 წლის 30 სექტემბერი

საქართველო, თბილისი



შპს „ასკანელი ვაინერი & დისტილერის“
2021 წლის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ბიოლოგიური აქტივები	3	5 768 400	3 688 650
ძირითადი საშუალებები	4	36 655 184	20 172 767
არამატერიალური აქტივები	5	5 627	6 156
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	6	22 738 257	7 835 884
სულ გრძელვადიანი აქტივები		65 167 468	31 703 458
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	7	3 786 727	14 254 269
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	6 593 584	2 707 912
ფული და ფულის ექვივალენტები	9	3 814	1 137 220
სულ მიმდინარე აქტივები		10 384 126	18 099 401
სულ აქტივები		75 551 594	49 802 859
კაპიტალი და ვალდებულებები			
საწესდებო კაპიტალი		2 000	2 000
გაუნაწილებელი მოგება		26 738 421	18 806 395
სულ კაპიტალი		26 740 421	18 808 395
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ფინანსური ვალდებულება	10	109 199	188 664
სესხები	11	35 408 581	12 617 027
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		35 517 780	12 805 691
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	5 423 132	7 219 450
ფინანსური ვალდებულება	10	55 974	-
სესხები	11	7 814 287	10 969 323
სულ მიმდინარე ვალდებულებები		13 293 393	18 188 773
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		75 551 594	49 802 859

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით დადასტურებულია 2022 წლის 30 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

ბესიკ კეველიშვილი



11-31 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

მოგება-ზარალი დასხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
შემოსავლები	13	21 820 573	20 647 148
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	14	(12 465 888)	(13 234 790)
საერთო მოგება		9 354 685	7 412 358
სხვა შემოსავლები	15	440 696	1 157 564
საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები	16	(4 963 808)	(2 127 870)
მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	8	(1 447 907)	(2 653 356)
სხვა ხარჯები		(31 310)	(176)
ფინანსური ხარჯები		(3 184 539)	(773 812)
შემოსავალი კაპიტალ მეთოდის აღრიცხულ ინვესტიციებიდან	6	5 903 273	1 831 424
არასაკონფორმაციო ხარჯები/შემოსავლები წმინდა	17	788 634	475 724
საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსავალი/ზარალი		1 072 303	(1 357 541)
მოგება დაბეგვრამდე		7 932 026	3 964 315
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა მოგება და წლის სრული შემოსავალი		7 932 026	3 964 315

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით დადასტურებულია 2022 წლის 30 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

ბესიკ კეკელიშვილი



შპს „ასკანელი ვაინერი & დისტრილერი“
2021 წლის კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარი)

	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
გაყიდვებიდან მიღებული შემოსავალი	20 662 796	30 557 672
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	(2 894 473)	(9 511 229)
გადახდილი ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(870 170)	(639 609)
გადახდილი ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(903 687)	(999 568)
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული თანხები	(609)	(12 167)
მიღებული სხვა საოპერაციო შემოსავალი	2 923	889 140
გადახდილი გადასახადები	(4 722 329)	(4 234 420)
გადახდილი სხვა საოპერაციო ხარჯები	(35 796)	(188 720)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	11 238 655	15 861 100
გადახდილი საპროცენტო ხარჯი	(2 129 529)	(834 787)
სულ საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადი	9 109 126	15 026 312
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები		
ინვესტიცია წილის შეძენა	(8 999 100)	-
ძირითადი საშუალებების შეძენა	(18 267 487)	(9 929 451)
ბიოლოგიური აქტივების შეძენა	(1 523 829)	(971 267)
სესხის პროცენტის დაკაპიტალიზირება	(192 518)	-
გაცემული სესხები	(30 000)	-
მიღებული საპროცენტო შემოსავალი	944 187	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(28 068 747)	(10 900 718)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები		
აღებული სესხები	33 761 365	18 964 635
ნასესხები სახსრების დაფარვა	(15 681 703)	(16 157 595)
ფინანსური ვალდებულებების დაფარვა (ლიზინგი)	(14 711)	-
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	18 064 951	2 807 040
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე	(238 735)	(6 645 578)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/(კლება)	(1 133 405)	287 056
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები, პერიოდის დასაწყისში	1 137 219	850 164
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები, პერიოდის ბოლოს	3 814	1 137 219

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით დადასტურებულია 2022 წლის 30 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

ბესიკ კველიშვილი



11-31 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „ასკანელი ვაინერი & დისტილერი“
2021 წლის კონსოლიდირებული კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ლარში)

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2020 წლის 1 იანვარი		2 000	14 842 079	14 844 079
მოგების განაწილება				-
სრული შემოსავალი			3 964 315	3 964 315
2020 წლის 31 დეკემბერი		2 000	18 806 395	18 808 395
მოგების განაწილება			-	-
სრული შემოსავალი			7 932 026	7 932 026
2021 წლის 31 დეკემბერი		2 000	26 738 421	26 740 421

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით დადასტურებულია 2022 წლის 30 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

ბესიკ კველიშვილი



1. ჯგუფი და მისი საქმიანობა

შპს „ასკანელი ვაინერი & დისტილერი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია საქართველოში 2003 წლის 18 ივლისს. იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი არის - საქართველო, ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, კახეთის გზატკ., 110ა. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდი - 205010888.

კომპანიის მიმდინარე საქმიანობას მართავს კომპანიის დირექტორი - ბესიკი კეკელიშვილი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ღვინომასალების წარმოება და რეალიზაცია.

2020, 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის პარტნიორს წარმოადგენდა:

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
გოჩა ჩხაიძე, 65002012107	გოჩა ჩხაიძე, 65002012107	გოჩა ჩხაიძე, 65002012107
100%	100%	100%

კომპანია წარმოადგენს ჯგუფის მშობელ საწარმოს. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ჯგუფის სტრუქტურას:

დასახელება	საიდენტიფიკაციო კოდი	წილის ოდენობა 2021	წილის ოდენობა 2020	სტატუსი
სს თრი ენდ მეტალ პროდაქშენი	208145489	93.88%	93.88%	მოქმედი
შპს ასკანელი რიზორტს	406295021	100%	100%	უმოქმედო
შპს ჩხავერის ვენახი	406210693	51%	51%	არ გააჩნია არსებითი საქმიანობა
შპს ასკანელი ძმები	200040222	45%	45%	მეკავშირე საწარმო

შვილობილი კომპანიები კონსოლიდირდება ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. უმოქმედო სტატუსის მქონე კომპანიები არ ფლობენ აქტივებს და ვალდებულებებს 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და არ გააჩნიათ არსებითი საქმიანობა 2021 და 2020 წლის განმავლობაში.

ინვესტიციები - კომპანია ფლობს მეკავშირე საწარმოში შპს „ასკანელი ძმები“ 45% წილს. მას არ აქვთ კონტროლი ან მნიშვნელოვანი გავლენა აღნიშნულ ინვესტიციაზე. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ინვესტიცია აღირიცხება კაპიტალ მეთოდით.

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობა ხორციელდება საქართველოში. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. საქართველოს გააჩნია შედარებით სტაბილური პოლიტიკური სიტუაცია და ლიბერალური საბაზრო ეკონომიკა დაბალი გადასახადებით და რეგულაციებით.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად, კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის ყველა საჭირო ზომებს იღებს, რათა მხარი დაუჭიროს კომპანიის საქმიანობის მდგრადობასა და განვითარებას.

2.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

შესაბამისობა

კომპანიის 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “ფასს”), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას ფასს საფუძველზე (რომელიც გამოიყენება ფასს 35-ე განყოფილების “ფასს-ზე გადასვლა“-ფარგლებში). კომპანია ნათლად და უპირობოდ აცხადებს, რომ:

- მას წინა პერიოდებში არ წარუდგენია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და ფასს-ის პირველადი გამოყენების თარიღი არის 2019 წლის 1 იანვარი.
- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება, რაც ასევე გამოყენებულ

იქნება ფასს-ის შემდგომი პერიოდების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების პაკეტის მომზადებისას შესაძარისი ინფორმაციის წარმოდგენით.

ამასთან, კომპანია/ჯგუფი წარმოადგენს მეორე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, კომპანიას/ჯგუფს მოეთხოვება წლიური ფინანსური ანგარიშგების სავალდებულო აუდიტი.

უწყვეტი ფუნქციონირება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ კომპანია/ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. 2022 წლის თებერვალში რუსეთის ფედერაცია შეიჭრა და საომარი მოქმედებები გააჩაღა უკრაინაში. ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის საომარი მოქმედებები არ შეწყვეტილა და უფრო ფართომასშტაბიანი სახე მიიღო. კომპანია/ჯგუფი ფლობს გაშენებულ ვენახებს და მის ძირითად საქმიანობას ყურძნის გაყიდვა, ღვინომასალების წარმოება და მომსახურების გაწევა წარმოადგენს. დამატებით კახეთის რეგიონში კომპანიას/ჯგუფს დაწყებული აქვს ტურისტული კომპლექსის - სასტუმროს მშენებლობა. 2021 წლის მონაცემებით საქართველოს ღვინის ექსპორტის მოცულობის 57% რუსეთის ბაზარზე, ხოლო დაახლოებით 12% უკრაინაზე მოდიოდა. მიუხედავად იმისა, რომ ღვინის ექსპორტი ყოველწლიურად დაახლოებით 15%-ით იზრდება რუსეთის შეჭრამ უკრაინაში და შემდგომ საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან რუსულ კომპანიებზე და საფინანსო სექტორზე დაწესებულმა სანქციებმა შესაძლოა ეჭვ ქვეშ დააყენოს რუსული კომპანიების ფინანსური სტაბილურობა, რაც თავის მხრივ ზრდის რისკს ამ კომპანიებმა ვერ შეასრულონ ექსპორტიორების წინაშე არსებული ვალდებულებები. აღნიშნული რისკი კომპანიის/ჯგუფის გრძელვადიანი ფინანსური სტაბილურობის მნიშვნელოვანი ფაქტორია. ხელმძღვანელობა ამ მოვლენებს ბალანსის შემდგომ არამაკორექტირებელ მოვლენად მიიჩნევს, რადგან წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დროს მას არ მოუხდენია შესამჩნევი გავლენა კომპანიის/ჯგუფის გაყიდვებსა და მიწოდების პროცესზე, თუმცა, სამომავლო შედეგების პროგნოზირება შეუძლებელია. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიის/ჯგუფის უწყვეტი ფუნქციონირების დაშვება არის შესაფერისი და იგი გააგრძელებს პოტენციური გავლენების მონიტორინგს და გადადგამს ყველა შესაძლებელ ნაბიჯს უარყოფითი გავლენების თავიდან ასაცილებლად. შესაბამისად, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშო პერიოდისთვის მომზადებულია საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების საფუძველზე.

სამუშაო და წარდგენის ვალუტა

კომპანიის/ჯგუფის სამუშაო ვალუტაა იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ეწევა საქმიანობას. კომპანიის/ჯგუფის სამუშაო ვალუტაა საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი (შემდეგში "GEL"). წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ქართულ ლარში.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის/ჯგუფის სამუშაო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი სავალუტო კურსით. უცხოური ვალუტის შემოსულობები და ზარალი, წარმოქმნილი წლის ბოლოს ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაფასებიდან, აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალის „საკურსო სხვაობის მოგება/ზარალის“ მუხლში. წლის ბოლოს არსებული კურსით კონვერტაცია არ ვრცელდება არაფულად მუხლებზე, რომლებიც პირვანდელი ღირებულებითაა შეფასებული.

უცხოური ვალუტის კონვერტაციისთვის გამოყენებული ძირითადი გაცვლითი კურსი ქართულ ლართან მიმართებით იყო შემდეგი:

გაცვლითი კურსი	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
1 USD	3.0976	3.2766
1 EUR	3.5040	4.0233
100 RUB	4.1479	4.4031

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელთაც აკლდება დაგროვილი ცვეთის თანხა და საჭიროებისამებრ გაუფასურების ანარიცხები. მიწა ფასდება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ზარალით.

თვითღირებულება მოიცავს იმ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება აქტივის შეძენას. საწარმოს მიერ შექმნილი აქტივების თვითღირებულება ასევე მოიცავს მასალების და პირდაპირი შრომის ღირებულებას, ყველა სხვა ხარჯს, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას მათი წინასწარგანზრახული გამოყენებისთვის, საგნების დემონტაჟისა და მათი ლოკაციის ადგილიდან გატანის ხარჯებს და კაპიტალიზებად სესხით სარგებლობის ხარჯებს.

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივის სახით მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის კომპანიაში შემოსვლა და დანახარჯების სანდოდ და საიმედოდ შეფასება. მიმდინარე რემონტისა და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწვევითანავე აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება.

გაყიდვიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

ცვეთა

მიწას ცვეთა არ ერიცხება. სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით მათი სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის მიხედვით:

	სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში
შენობა-ნაგებობები	20 წელი
მანქანა-დანადგარები	10 წელი
ინვენტარი	5 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	4 წელი
ავტოტრანსპორტი	5 წელი
არამატერიალური აქტივები	5 წელი

ძირითადი საშუალება იცვითება იმ თვიდან, როდესაც ხდება მისი ექსპლუატაციაში გაშვება.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანია ხდება ინსტრუმენტების საკონტრაქტო პირობების მხარე.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აისახება სამართლიანი ღირებულებით. ამ დროს მათ სამართლიან ღირებულებას ემატება ან აკლდება ტრანზაქციის ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შესყიდვას ან გამოშვებას. მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შესყიდვასთან პირდაპირ დაკავშირებული ტრანზაქციის ხარჯები დაუყოვნებლივ აისახება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია რეალური ღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივების ბუნებასა და დანიშნულებაზე და განისაზღვრება მათი თავდაპირველი აღიარებისას.

კომპანიის ფინანსურ აქტივებს ძირითადად შეადგენს ფული და ფულის ექვივალენტები და სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, რომლებიც კლასიფიცირდება როგორც მოთხოვნები ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივები, გარდა მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახულისა, გაუფასურებაზე მოწმდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება, როდესაც ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ ზარალის დადგომის შემთხვევას ან შემთხვევებს გავლენა აქვს ფინანსური

აქტივისა თუ ფინანსური აქტივების ჯგუფის სავარაუდო სამომავლო ფულად ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ განსაზღვრაც შესაძლებელია.

ფინანსური აქტივისათვის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შეიძლება გულისხმობდეს შემდეგს:

- კონტრაგენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულე; ან
- კონტრაქტის დარღვევა, როგორიცაა დეფოლტი ან გადახდისუნარიობა საპროცენტო ან ძირითად თანხებთან მიმართებაში; ან
- სავარაუდოა, რომ მსესხებელმა გამოაცხადოს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის შესაძლებლობა; ან
- აღნიშნული ფინანსური აქტივის აქტიური ბაზრის გაქრობა ფინანსური სირთულეების გამო.

ფინანსური აქტივების ზოგიერთი კატეგორიის შემთხვევაში, როგორიცაა სავაჭრო მოთხოვნები, აქტივები გაუფასურებაზე მოწმდება ჯგუფურად მაშინაც კი, თუ

ინდივიდუალურად შეფასებისას დადგინდა, რომ გაუფასურებული არ არის. მოთხოვნების პორტფელის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შეიძლება იყოს კომპანიის წარსული

გამოცდილება გადახდების აკრეფასთან დაკავშირებით, ან ქვეყნის ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების მკვეთრი გაუარესება.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, თუ გაუფასურების ხარჯი შემდგომ პერიოდში შემცირდა და ეს კლება ობიექტურად შეიძლება უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენას, ხდება ადრე აღრიცხული გაუფასურების ხარჯის გაუქმება მოგება-ზარალში ისე, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება გაუფასურების ხარჯის გაუქმების შემდეგ არ აჭარბებდეს ამორტიზებულ ღირებულებას გაუფასურების აღიარების გარეშე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია/ჯგუფი ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების საკონტრაქტო პირობების ვადის გასვლისას ან ამ ფინანსური აქტივისა და მის მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის სხვა მხარეზე გადაცემისას. თუ კომპანიამ მფლობელობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი არც სხვა მხარეს გადასცა და არც შეინარჩუნა და კვლავაც აკონტროლებს გადაცემულ აქტივს, კომპანია აღიარებს მასში შენარჩუნებულ წილს და მასთან დაკავშირებულ, თანხების გადახდის პოტენციურ ვალდებულებას. თუ კომპანიამ შეინარჩუნა ფინანსური აქტივის მფლობელობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, ის განაგრძობს ფინანსური აქტივის აღიარებას და აგრეთვე აღიარებს აღებული უზრუნველყოფილი სესხებიდან მიღებულ შემოსავალს.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანიის/ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მოგებაში ან ზარალში ამორტიზებული ღირებულებებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებს და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია/ჯგუფი ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიის ვალდებულებები იფარება, უქმდება ან ვადა გასდის. სხვაობა აღიარებული და შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ ანაზღაურებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და თანხას მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაუფასურების გამოკლებით.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება ეფუძნება ხელმძღვანელობის შეფასებას ინდივიდუალური კლიენტისგან მოთხოვნის ამოღების ალბათობასთან. კლიენტის მნიშვნელოვანი ფინანსური

სირთულები, გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის ალბათობა, ან გადახდისუნარობა იმის მაჩვენებლებია, რომ მოთხოვნა პოტენციურად გაუფასურებულია.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული კანონმდებლობის ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა, ან იმ პერიოდში, როდესაც განხორციელდა დივიდენდების გადახდა. დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას.

ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებული არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის (ოფშორი) მქონე იურისდიქციებში, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები იბეგრება გადახდის წყაროსთან.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) ავანსის მიღება კლიენტებისაგან, ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისათვის. გადასახდელი დღგ მცირდება ჩასათვლელი დღგ-ის თანხით, დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ის ჩათვლა ნეტო საფუძველზე.

საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა

საქართველოში საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა მნიშვნელოვნად ინტერპრეტაციებზეა დამოკიდებული და შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს საგადასახადო ორგანოების მხრიდან გეგმიური თუ კამერალური შემოწმების დროს. საგადასახადო შემოწმებას შეიძლება დაექვემდებაროს საგადასახადო შემოწმების წლამდე წინა სამი კალენდარული წლის პერიოდები. კომპანია დარწმუნებულია, რომ მას შესრულებული აქვს ყველა საგადასახადო ვალდებულება საგადასახადო კანონმდებლობის მისეული გაგების საფუძველზე.

მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე. მზა პროდუქციის და დაუმთავრებელი წარმოების თვითღირებულება მოიცავს ნედლეულს და მასალებს, პირდაპირ შრომით დანახარჯებს, სხვა პირდაპირ დანახარჯებსა და

დაკავშირებულ საწარმოო ზედნადებ ხარჯებს. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება როგორც ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობიდან დადგენილი გასაყიდი ფასით, შემცირებული რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდების მიხედვით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები (რომლებიც მოიცავს საწესდებო კაპიტალს, მფლობელობას და ა.შ) ხორციელდება მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე.

ღივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობით კომპანიის გასანაწილებელი რეზერვები შეზღუდულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული გაუნაწილებელი მოგების ნაშთით. ღივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება.

ამონაგების აღიარება

ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის რეალიზებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მყიდველისათვის კონტროლის გადაცემის შედეგად.

ანარიცხები

ანარიცხები არის გაურკვეველი ვადის და ოდენობის ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება, და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. ანარიცხების შეფასება ხდება ვალდებულების ანგარიშსწორებისათვის საჭირო მოსალოდნელი დანახარჯების დისკონტირებული ღირებულებით, დაბეგვრამდე განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ამ ვალდებულებისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ რისკებს. დროის გასვლის გამო ანარიცხების ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით.

საქონლის რეალიზაცია

რეალიზაცია აღიარებულია მაშინ, როდესაც საქონელი მიწოდებულია კლიენტისთვის, კლიენტს სრული დისკრეციული უფლება აქვს საქონელზე, და არ არსებობს შეუსრულებელი ვალდებულებები, რომლებიც გავლენას იქონიებს კლიენტის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი გადაზიდულია კლიენტთან და მან მიიღო საქონელი ან კომპანიას აქვს დასაბუთებული მტკიცებულება იმისა, რომ მიღების ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილდა.

თანამშრომელთა ანაზღაურება

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა შესაბამისი მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

2.2 შეფასებები და მსჯელობები საადრიცხო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია/ჯგუფი აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს.

შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. საადრიცხო შეფასებების გადახედვის შედეგად გამოწვეული ცვლილებები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გადახედვა და შემდგომ პერიოდებში, როდესაც ასეთ ცვლილებებს ექნებათ გავლენა. საადრიცხო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე მსჯელობებს. მსჯელობებს, რომელსაც შეუძლია გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, არის:

- **დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციების თავდაპირველი აღიარება**

ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობისას კომპანია ახორციელებს ოპერაციებს მასთან დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი რეალური ღირებულებების საფუძველზე. მსჯელობა გამოიყენება იმისათვის, რომ დადგინდეს, ოპერაციების ფასები განისაზღვრება თუ არა საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით. მსჯელობა ემყარება დაუკავშირებელ მხარეებთან მსგავსი ოპერაციების ფასებსა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს. განსჯის საფუძველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზია, რაც კომპანიის მიერ გამოვლინდა საქართველოში მსგავსი ტიპის სესხების საბაზრო პირობების საფუძველზე.

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა**

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის მსჯელობის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივების სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. ხელმძღვანელობა აფასებს დარჩენილ სარგებლიან მომსახურების ვადას აქტივის მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის და შეფასების იმ პერიოდის მიხედვით, რომელშიც აქტივებისგან კომპანიისთვის სარგებლის მოტანა არის მოსალოდნელი.

შპს „ასკანელი ვაინერი & დისტილერი“
 2021 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

3. ბიოლოგიური აქტივი

ისტორიული ღირებულება	ვენახები	სხვა ბიოლოგიური აქტივი	სულ
2020 წლის 1 იანვარი	1 388 570	33 228	1 421 798
შეძენა	2 330 222	15 349	2 345 571
გასვლა	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	3 718 792	48 577	3 767 369
შეძენა	2 221 291	6 175	2 227 466
გასვლა	(72 133)	-	(72 133)
2021 წლის 31 დეკემბერი	5 867 951	54 752	5 922 703
დაგროვილი ცვეთა			
2020 წლის 1 იანვარი	(24 487)	0	(24 487)
წლის ცვეთის ხარჯი	(54 232)	-	(54 232)
გასვლის შედეგად ელიმინირებული ცვეთა	-	-	0
2020 წლის 31 დეკემბერი	(78 719)	0	(78 719)
წლის ცვეთის ხარჯი	(80 022)	(146)	(80 169)
გასვლის შედეგად ელიმინირებული ცვეთა	4 585	-	4 585
2021 წლის 31 დეკემბერი	(154 156)	(146)	(154 303)
ნეტო საბალანსო ღირებულება			
2020 წლის 31 დეკემბერი	3 640 073	48 577	3 688 650
2021 წლის 31 დეკემბერი	5 713 794	54 606	5 768 400

შპს „ასკანელი ვაინერი & დისტილერი“
2021 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

4. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრებული მშენებლობა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	დაუმონტაჟებული ძირითადი საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალება	სულ
2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	808 658	43 203	6 558 471	9 003 392	7 985	78 807	222 997	118 746	16 842 258
შეძენა	271 043	4 021 548	770 984	3 258 063	-	49 221	87 378	351 594	8 809 831
მუხლებს შორის გადატანა	-	(1 084 813)	1 084 813	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	(15 677)	(1 505)	-	-	-	(17 182)
2020 წლის 31 დეკემბერი	1 079 701	2 979 937	8 414 268	12 245 777	6 480	128 028	310 375	470 340	25 634 907
შეძენა	83 801	8 277 553	4 941 815	5 057 686	1 145	276 332	328 323	99 009	19 065 665
სესხის პროცენტის კაპიტალიზაცია	-	480 025	-	-	-	-	-	-	480 025
გასვლა	-	(1 247 054)	(27 108)	(3 402)	(7 626)	-	(150)	-	(1 285 339)
2021 წლის 31 დეკემბერი	1 163 502	10 490 461	13 328 976	17 300 062	0	404 359	638 547	569 349	43 895 257
დაგროვილი ცვეთა									
2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	0	-	(474 414)	(3 688 630)	0	(33 231)	(66 065)	(72 770)	(4 335 111)
წლის ცვეთის ხარჯი	0	0	(192 956)	(810 864)	-	(23 317)	(42 071)	(57 822)	(1 127 029)
გასვლის შედეგად ელიმინირებული ცვეთა	-	-	-	-	-	-	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	0	0	(667 370)	(4 499 494)	0	(56 548)	(108 136)	(130 592)	(5 462 140)
წლის ცვეთის ხარჯი	0	0	(273 556)	(1 295 041)	-	(38 617)	(80 264)	(90 900)	(1 778 379)
გასვლის შედეგად ელიმინირებული ცვეთა	-	-	-	28	-	223	193	-	445
2021 წლის 31 დეკემბერი	0	0	(940 926)	(5 794 507)	0	(94 941)	(188 207)	(221 493)	(7 240 074)
ნეტო საბალანსო ღირებულება									
2020 წლის 31 დეკემბერი	1 079 701	2 979 937	7 746 898	7 746 284	6 480	71 480	202 239	339 748	20 172 767
2021 წლის 31 დეკემბერი	1 163 502	10 490 461	12 388 050	11 505 555	0	309 418	450 340	347 857	36 655 184

*კომპანიის/ჯგუფის ძირითადი საშუალებები მიმართულია სასესხო ვალდებულებების უზრუნველყოფაში

შპს „ასკანელი ვაინერი & დისტილერი“
 2021 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

5. არამატერიალური აქტივები

თვითღირებულება	ლიცენზიები	სულ
2020 წლის 1 იანვარი	28 102	28 102
შეძენა	2 500	2 500
2020 წლის 31 დეკემბერი	30 601	30 601
შეძენა	-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	30 601	30 601
დაგროვილი ცვეთა		
2020 წლის 1 იანვარი	(23 959)	(23 959)
წლის ცვეთის ხარჯი	(486)	(486)
2020 წლის 31 დეკემბერი	(24 446)	(24 446)
წლის ცვეთის ხარჯი	(529)	(529)
2021 წლის 31 დეკემბერი	(24 974)	(24 974)
ნეტო საბალანსო ღირებულება		-
2020 წლის 31 დეკემბერი	6 156	6 156
2021 წლის 31 დეკემბერი	5 627	5 627

6. ინვესტიციები მოკავშირე საწარმოში

		2021	2020
შპს ასკანელი ძმები	ინვესტიციის ისტორიული ღირებულება	13 219 243	4 220 143
შპს ასკანელი ძმები	კორექტირება კაპიტალ მეთოდით	9 519 014	3 615 741
		22 738 257	7 835 884

		2020	2019
შპს ასკანელი ძმები	ინვესტიციის ისტორიული ღირებულება	4 220 143	4 220 143
შპს ასკანელი ძმები	კორექტირება კაპიტალ მეთოდით	3 615 741	1 784 317
		7 835 884	6 004 460

შემოსავლის წილი კაპიტალ მეთოდის აღრიცხულ ინვესტიციებიდან

		2021	2020
შპს ასკანელი ძმები	შემოსავლის წილი კაპიტალ მეთოდის აღრიცხულ ინვესტიციებიდან	5 903 273	1 831 424

შპს „ასკანელი ვაინერი & დისტილერი“
2021 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

7. მარაგები

	2021	2020
მზა პროდუქცია	3 609 894	13 940 118
ვენახის მოვლასთან დაკავშირებული წინასწარ გადახდილი ხარჯი	69 296	50 472
საქონელი	50 399	224 185
მასალა და ნედლეული	11 816	11 173
ხორბლის მოყვანასთან დაკავშირებული წინასწარ გადახდილი ხარჯი	18 301	-
სხვა დამხმარე ინვენტარი	27 022	28 321
სულ მარაგები	3 786 727	14 54 269

* კომპანიის მარაგები მიმართულია სასესხო ვალდებულებების უზრუნველყოფაში

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
მომსახურებიდან და მიწოდებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები	7 058 946	5 534 384
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	5 259 944	2 333 567
საექვო ვალების ანარიცხები	(6 843 887)	(5 395 980)
საგადასახადო და სხვა მოთხოვნები	1 118 581	235 941
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6 593 584	2 707 912

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის ანარიცხი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2021	გაუფასურების განაკვეთი	გაუფასურება 31.12.2021
მიმდინარე			
0- 90 დღით ვადაგადაცილებული	3 032 014	0%	-
91 - 180 დღით ვადაგადაცილებული	1 612 400	10%	(161 240)
181 - 360 დღით ვადაგადაცილებული	1 983 659	50%	(991 829)
360-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული	5 714 537	100%	(5 714 537)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12 342 610		(6 867 607)
გაუფასურების რეზერვი	(6 867 607)		
წმინდა მოთხოვნები	5 475 003		

შპს „ასკანელი ვაინერი & დისტილერი“

2021 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის ანარიცხი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	გაუფასურების განაკვეთი	გაუფასურება 31.12.2020
მიმდინარე			
- 30 დღეზე ნაკლებით ვადაგადაცილებული	2 113 232	0%	-
- 30 - 90 დღით ვადაგადაცილებული	129 845	0%	-
- 91 - 180 დღით ვადაგადაცილებული	144 619	10%	(14 462)
- 181 - 360 დღით ვადაგადაცილებული	197 472	50%	(98 736)
- 360-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული	5 282 782	100%	(5 282 782)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7 867 951		(5 395 980)
გაუფასურების რეზერვი	(5 395 980)		
წმინდა მოთხოვნები	2 471 971		

9. ფული და ფულის ექვივალენტები

	2021	2020
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	37	53 909
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	3 777	1 076 129
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	1	7 182
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	3 814	1 137 220

10. ფინანსური ვალდებულებები

მომავალი საიჯარო გადასახადების მთლიანი თანხა	2021	2020
ერთ წლამდე პერიოდში	55 974	-
საიჯარო გადასახადი	73 015	22 828
მათ შორის ფინანსური ხარჯი	(17 041)	(22 828)
1-5 წლამდე პერიოდში	109 199	188 664
საიჯარო გადასახადი	121 692	223 563
მათ შორის ფინანსური ხარჯი	(12 493)	(34 899)
5 წლის შემდეგ	-	-
საიჯარო გადასახადი	-	-
მათ შორის ფინანსური ხარჯი	-	-
ფინანსური იჯარის ვალდებულება	165 173	188 664
მოკლევადიანი	55 974	-
გრძელვადიანი	109 199	188 664

შპს „ასკანელი ვაინერი & დისტილერი“
2021 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

11. სასესხო ვალდებულებები

მიღებული სესხი	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	ვადა	2021	2020
სს თიბისი ბანკი	აშშ დოლარი	6.2%-9.6%	2023-2029	9 081 237	10 346 405
სს თიბისი ბანკი	ევრო	4.7%-6.5%	2024-2026	993 135	1 380 069
სს თიბისი ბანკი	ლარი	12%-15.7%	2 023	3 906 643	11 791 560
გოჩა ხაჩიძე	აშშ დოლარი	9.0%	უვადო	64 584	68 316
შპს ასკანელი ძმები	ლარი	10.5%	2 026	22 165 259	
გრძელვადიანი სესხები-შპს ასკანელი ძმები	ლარი	10.5%	5 წელი	7 012 012	
სულ სესხები				43 222 869	23 586 350

სესხის ვადიანობა

	2021	2020
მოკლევადიანი სესხები	7 814 287	10 969 323
გრძელვადიანი სესხები	35 408 581	12 617 027
სულ ნასესხების სახსრები	43 222 869	23 586 350

*სასესხო ვალდებულებების უზრუნველყოფაში მიმართულია კომპანიის მარაგები, ძირითადი საშუალებები და ბიოლოგიური აქტივები.

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2021	2020
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	1 938 038	359 474
მიღებული ავანსები	3 480 608	5 992 767
სხვა ვალდებულებები	4 486	867 209
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5 423 132	7 219 450

13. შემოსავლები

	2021	2020
ღვინო მასალა	17 322 951	16 632 892
ყურძენი	826 744	-
საიჯარო შემოსავალი	3 670 878	4 014 256
სულ შემოსავლები	21 820 573	20 647 148

შპს „ასკანელი ვაინერი & დისტილერი“
2021 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ღვინო მასალის რეალიზაციის ჩაშლა ბაზრის მიხედვით

	2021	2020
ადგილობრივი	16 302 318	16 260 890
ექსპორტი	1 020 634	372 002
სულ შემოსავლები	17 322 951	16 632 892

14. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2021	2020
ღვინო მასალა	11 756 464	13 234 790
ყურძენი	709 424	-
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	12 465 888	13 234 790

15. სხვა შემოსავლები

	2021	2020
ვენახის შემოსავალში აღება	410 500	-
სხვა შემოსავლები	30 196	280 676
გრანტებიდან მიღებული შემოსავალი	-	876 888
სულ სხვა შემოსავლები	440 696	1 157 564

16. საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები

	2021	2020
შრომის ანაზღაურება	834 923	78 227
ძირითადი საშუალებების ცვეთა და ამორტიზაცია	1 822 935	254 269
ვენახის მოვლასთან დაკავშირებული ხარჯი	790 203	818 988
კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები	325 688	30 704
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	340 222	325 576
ქონების გადასახადი	207 780	170 635
ტექნიკური საქონლის მომსახურების ხარჯი	160 603	-
ტრანსპორტირების ხარჯი	108 926	238 042
საკონსულტაციო ხარჯი	108 314	71 156
დამხმარე მასალის დანახარჯები	164 119	64 350
ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯები	85 315	27 052
იჯარის ხარჯი	14 780	48 870
სულ საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები	4 963 808	2 127 870

*საოპერაციო ხარჯების ზრდის მიზეზს წარმოადგენს კომპანიის/ჯგუფის საქმიანობის ცვლილება, კერძოდ ჯგუფი/კომპანია 2021 წლიდან აღარ აწარმოებს ღვინო მასალას და ყურძენს ყიდის, შესაბამისად 2021 წლის საოპერაციო ხარჯებში ასახულია ისეთი ხარჯები, რომლებიც 2020 წელს შესული იყო მზა პროდუქციის თვითღირებულებაში

17. არასაოპერაციო ხარჯები/შემოსავლები

	2021	2020
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული მოგება/ზარალი	(53 975)	89 619
სოფლის მეურნეობის პროდუქციის საბაზრო ღირებულება	826 744	405 735
სხვა არასაოპერაციო მოგება /ზარალი	15 865	(19 630)
სულ არასაოპერაციო ხარჯები/შემოსავლები	788 634	475 724

18. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს კომპანიის მფლობელებს და ერთობლივ მფლობელობასა და კონტროლქვეშ არსებულ პირებს, აგრეთვე უმაღლეს ხელმძღვანელობას. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ეპყრობა ურთიერთობის ბუნებას და არა მხოლოდ მის სამართლებრივ, იურიდიულ ფორმას.

2021 წლის 31 დეკემბერს დაკავშირებულ მხარეებთან დასაფარი ნაშთები იყო შემდეგი:

	დაკავშირებული მხარეები
სავაჭრო მოთხოვნების მთლიანი თანხა	6 719 248
სხვა მოთხოვნების მთლიანი თანხა	16 835 512
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6 342 637
გაცემული სესხები	-
მიღებული სესხები	26 834 325

2020 წლის 31 დეკემბერს დაკავშირებულ მხარეებთან დასაფარი ნაშთები იყო შემდეგი:

	დაკავშირებული მხარეები
სავაჭრო მოთხოვნების მთლიანი თანხა	5 044 469
სხვა მოთხოვნების მთლიანი თანხა	4 409 557
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6 133 159
გაცემული სესხები	-
მიღებული სესხები	68 316

შემოსავლებისა და ხარჯების მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის იყო შემდეგი:

	დაკავშირებული მხარეები
საქონლის გაყიდვა	20 354 413
სხვა შემოსავლები	
ნედლეულის, სხვა მასალებისა და მომსახურების შესყიდვა	719 892
სხვა მომსახურებები	7 208
ფინანსური ხარჯები	574 876

შემოსავლებისა და ხარჯების მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის იყო შემდეგი:

	დაკავშირებული მხარეები
საქონლის გაყიდვა	20 380 165
სხვა შემოსავლები	5 016
ნედლეულის, სხვა მასალებისა და მომსახურების შესყიდვა	298 236
სხვა მომსახურებები	41 347
ფინანსური ხარჯები	17 615

ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია

ხელმძღვანელი პირების ხელფასები, ბონუსები და სხვა არაფულადი სარგებელი შესულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და 2021 წლის განმავლობაში შეადგენს 0 ლარს, ხოლო 2020 წელს 3 028 ლარს.

19. ფინანსური ინსტრუმენტები ფინანსური ვალდებულებები

(ლარი)	ფინანსური ვალდებულებები	სავაჭრო ვალდებულებები
2020 წლის ბოლოს მდგომარეობით	23 586 350	359 474
2021 წლის ბოლოს მდგომარეობით	43 222 869	1 938 038

ფინანსური აქტივები

(ლარი)	ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	სავაჭრო მოთხოვნები
2020 წლის ბოლოს მდგომარეობით	1 137 220	5 534 384
2021 წლის ბოლოს მდგომარეობით	3 814	7 058 946

20. საკრედიტო რისკი

კომპანიას/ჯგუფს გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. ფინანსური აქტივები, რომლებიც პოტენციურად იწვევს ამ რისკს, ძირითადად შედგება სავაჭრო მოთხოვნებისა და ფულისა და ფულის ექვივალენტებისგან. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის პროდუქციის საკრედიტო პირობებით გაყიდვების და სხვა კონტრაგენტებთან ტრანზაქციების შედეგად.

ხელმძღვანელობის აზრით, კომპანიას ზარალის დიდი რისკი, გარდა უკვე აღრიცხული რეზერვებისა, არ ემუქრება.

კომპანიის/ჯგუფის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების კლასების მიხედვით ასახულია ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შემდეგნაირად:

	2021	2020
სავაჭრო მოთხოვნები	6 593 584	2 707 912
ფული საბანკო ანგარიშებზე	3 814	1 137 220
სულ საკრედიტო რისკი	6 597 399	3 845 132

21. სავალუტო რისკი

სავალუტო რისკთან დაკავშირებით ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს ვალუტის მიხედვით და მთლიანობაში. მისი მონიტორინგი ყოველთვიურად ხორციელდება. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

	2021			2020		
	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა სავალუტო პოზიცია	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა სავალუტო პოზიცია
აშშ დოლარი	5 802 034	9 290 355	(3 488 322)	5 025 184	10 426 188	(5 401 004)
რუსული რუბლი	0	18 824	(18 824)	0	2 622	(2 622)
ევრო	0	1 529 971	(1 529 971)	75 364	1 389 167	(1 313 803)
ჯამი	5 802 034	10 839 151	(5 037 117)	5 100 548	11 817 977	(6 717 429)

ზემოთ მოცემული ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებს და ვალდებულებებს. კაპიტალში ინვესტირება და არაფულადი აქტივები არ გაითვალისწინება სავალუტო რისკების შეფასებისას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია კაპიტალის მგრძნობელობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულად შესაძლებელი ცვლილებებისადმი კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტასთან მიმართებით, როდესაც დანარჩენი ცვლადები რჩება უცვლელი:

	2021	2020
ვალუტის გამყარება 20%-ით	1 007 423	1 343 486
ვალუტის გაუფასურება 20%-ით	-1 007 423	-1 343 486

ეს რისკი გამოთვლილი იქნა მხოლოდ იმ ვალუტებში დენომინირებული ფულადი ნაშთებისთვის, რომლებიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისგან.

22. საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. ქვემოთ წარმოდგენილი მგრძნობელობის ანალიზი, რომელიც გვიჩვენებს საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობას ჩატარდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არსებულ ნაშთებზე.

	ზრდა 1 %-ით	შემცირება 1 %-ით
მოგება/ზარალი 2020 წელი	396 432	-396 432
მოგება/ზარალი 2021 წელი	793 203	-793 203

მოცემული ანალიზი დამყარებულია დაშვებებზე და საპროცენტო განაკვეთის რეალური ცვლილებები შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული ანალიზისაგან.

23. ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი გულისხმობს ვადადამდგარ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად საკმარისი თანხების არსებობას. კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი შედგება ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისგან. ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქტივებსა და ვალდებულებებს. როდესაც გადასახდელი თანხის ოდენობა არ არის ფიქსირებული, გამოქვანებული თანხა განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით. უცხოურ

ვალუტაში გადახდები გადაანგარიშდება გაცვლითი კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

2021			
	მოკლევადიანი აქტივები	მოკლევადიანი ვალდებულებები	სალდო
ლარში ნომინირებული	10 384 126	-13 293 393	-2 909 267
ჯამი	10 384 126	-13 293 393	-2 909 267
2020			
	მოკლევადიანი აქტივები	მოკლევადიანი ვალდებულებები	სალდო
ლარში ნომინირებული	18 099 401	-18 188 773	-89 372
ჯამი	18 099 401	-18 188 773	-89 372

24. სასამართლო დავები

კომპანიასთან/ჯგუფთან დაკავშირებით საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობს 2 სასამართლო დავა, კერძოდ, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, სადაც მოსარჩელეს წარმოადგენს შპს „ასკანელი ვაინერი & დისტილერი“, ხოლო, მოპასუხე მხარეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური სამსახური წარმოადგენს. დავის საგანი გახლავთ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა.

ასევე მიმდინარეობს კიდევ ერთი დავა მცხეთის რაიონულ სასამართლოში, სადაც მოსარჩელეს წარმოადგენს შპს „ასკანელი ვაინერი & დისტილერი“, ხოლო, მოპასუხე „ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“, დავის საგანია ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა (სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარი).

აღნიშნულ სასამართლო დავებს ხელმძღვანელობის აზრით არ ექნება რაიმე სახის გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე და შესაბამისი რეზერვის შექმნა არ არის საჭირო.

25. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული

2021 წლის 1 იანვრის შემდეგ შევიდა ძალაში რამდენიმე ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, თუმცა არცერთი მათგანი არსებით გავლენას არ ახდენს კომპანიის 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- საპროცენტო განაკვეთის ზღვრის რეფორმა - IBOR „ფაზა 2“ (შესწორება - ფასს 9, ბასს 39, ფასს 7 და ფასს 16);
- კოვიდ-19-თან დაკავშირებული იჯარის ხელშეკრულებებში ცვლილებები (შესწორება - ფასს 16)

კომპანიის ხელმძღვანელობის აზრით ქვემოთ მოცემული კორექტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას არ მოახდენენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

26. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

ბალანსის შემოდგომ მოვლენებს, რომლებიც შეიძლება იწვევდეს ფინანსური ანგარიშგების მუხლების შესწორებას ან განმარტებითი შენიშვნების დამატებას, ადგილი არ ჰქონია.

შპს ასკანელი ვაინერი & დისტილერი

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება

და

2021 წლის საქმიანობის მიმოხილვა

თან ერთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის

მოსაზრება

3 ოქტომბერი 2022



Grow Consulting

შპს გროუ კონსალტინგი

თბილისი, საქართველო

ო. ლორთქიფანიძის 2დ

ელ-ფოსტა info@growc.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

შპს ასკანელი ვაინერი & დისტილერის მმართველობითი ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ასკანელი ვაინერი & და დისტილერი“-ს 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიშგების აუდიტი. შპს „ასკანელი ვაინერი & და დისტილერი“-ს მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან, რომელსაც მიეკუთვნება შპს „ასკანელი ვაინერი & და დისტილერი“. კანონის შესაბამისად საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, უნდა ასახავდეს საწარმოს საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის, საწარმოს წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობით ანგარიშგებაზე

საწარმოს ვალდებულებაა მმართველობითი ანგარიშგების მომზადება და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის წარდგენა სამსახურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე, კანონის შესაბამისად, საწარმო ვალდებულია, მმართველობითი ანგარიშგება მიაწოდოს აუდიტორულ ფირმას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ წარმართავდით აუდიტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება, რომ მმართველობითი ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის მოსაზრების გამოცემა. ჩვენი აზრით, ჩვენ მიერ მიღებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად.

მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, მოცემული მმართველობითი ანგარიშგება შეესაბამება მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებასთან.


გროუ კონსალტინგი

ირმა ხაჩიძე

მმართველი პარტნიორი

2022 წელი, თბილისი, საქართველო





შპს „ასკანელი ვაინერი & დისტილერი“

მმართველობითი ანგარიშგება - ბიზნესის მიმოხილვა 2021 წ.

1. კომპანიის ისტორია, განვითარება და პოზიცია ბაზარზე

კომპანია “ასკანელი ვაინერი & დისტილერი” დაფუძნდა 2003 წელს. საწარმო მდებარეობს ყვარლის რაიონის სოფელ სანავარდოში, მისი ძირითადი საქმიანობაა ღვინის წარმოება და რეალიზაცია. კომპანია ფლობს სხვადასხვა წელს გაშენებულ 153 ჰა ვენახს ქინძმარაულის დაცული ადგილწარმოშობის მიკროზონაში. ვენახი აერთიანებს სხვადასხვა ქართულ და უცხოურ ჯიშს, რომლისგანაც მზადდება მაღალი ხარისხის ევროპული და ქართული ტრადიციული ტიპის ღვინომასალა; მათ შორის: საფერავი, რქაწითელი, ქისი, ხიხვი, მუსკატი, ჩხავერი, ალექსანდრეული, მუჯურეთული.

“ასკანელი ვაინერი & დისტილერი“-ს მისიაა გააგრძელოს და განავითაროს ქართული მეღვინეობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია.

დაფუძნების წლიდან შპს “ასკანელი ვაინერი & დისტილერი” აქტიურადაა ჩართული რთველში და ყოველწლიურად შეიძენს და გადაამუშავებს ყურძენს როგორც კახეთიდან ასევე საქართველოს სხვა რეგიონებიდან.

“ასკანელი ვაინერი & დისტილერი“-ს ძირითადი კლიენტი არის შპს „ასკანელი მშენი“, რომელიც ქართული ღვინის და სხვა ალკოჰოლური სასმელების ლიდერი ექსპორტიორი კომპანიაა. „ასკანელი მშენი“-ს მეშვეობით შპს “ასკანელი ვაინერი & დისტილერი“-ს პროდუქცია ხვდება მსოფლიოს 30-მდე ქვეყნის ბაზარზე და პოპულარობით სარგებლობს, რისი დასტურიც კომპანიის მზარდი გაყიდვებია არაერთი წლის განმავლობაში.

შპს “ასკანელი ვაინერი & დისტილერი” სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამის – „აწარმოე საქართველოში“-ს ბენეფიციარია. აღნიშნული პროგრამის დახმარებით კომპანიამ მოახერხა საწარმოო სიმძლავრეების მნიშვნელოვნად გაზრდა და პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება.

“ასკანელი ვაინერი & დისტილერი“ არის კომპანია, რომელიც მუდამ ფიქრობს მომხმარებლისათვის ახალი და მაღალხარისხიანი პროდუქტების შეთავაზებაზე, ასევე კომპანიის როგორც ორგანიზაციის განვითარებაზე. ინერგება მენეჯმენტის თანამედროვე სისტემები, ახალი ტექნოლოგიები და სხვა.

კომპანიის მმართველ გუნდს ამ ინდუსტრიაში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება გააჩნია. მენეჯმენტი 100%-ით ჩართულია ყოველდღიურ ოპერაციებში, რაც საშუალებას აძლევს მათ საოპერაციო დონეზე მოახდინონ რეაგირება სხვადასხვა დაუგეგმავი გარემოების წარმოშობის შემთხვევაში.

პროგრესის მიზეზები:

პროდუქციის ხარისხი - კომპანიის პროდუქცია სტაბილურად იღებს მაღალი კატეგორიის ჯილდოებს სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსზე და პოპულარობით სარგებლობს ალკოჰოლური სასმელების პროფესიონალთა თუ უბრალო მომხმარებლებს შორის.

შემოსავლები - უკანასკნელი წლების განმავლობაში შემოსავლები სტაბილურია თითქმის ყველა ძირითად პოზიციაზე, რასაც ხელი შეუწყო ახალი პროდუქტების გამოშვებამ. კომპანიაში მუდმივად მიმდინარეობს სხვადასხვა ტიპის სამუშაოები ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესების მიზნით.

2. განვითარების გეგმები

კომპანიის კორპორაციული სტრატეგია საბოლოო მომხმარებელზე ორიენტირებული იმიჯისა და სტრატეგიის შემუშავებაა, რაც მოიცავს როგორც გრძელვადიან სტრატეგიულ დაგეგმარებას, ასევე ოპერატიული ამოცანების ისე განსაზღვრას, რომ ისინი შეესატყვისებოდეს გრძელვადიან მიზნებს. კომპანიის ფილოსოფიას წარმოადგენს ქართული, გამორჩეული ხარისხის პროდუქციის წარმოება და რეალიზაცია.

2022 წლის რთველისთვის დაგეგმილია ახალი მანქანა-დანადგარებისა და ინოვაციური სისტემების შეძენა/დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს 15 ათას ტონამდე მაღალხარისხიანი ყურძნის გადამუშავებას.

კომპანიამ 2021 წელს გეგმის მიხედვით გააშენა 6 ჰა რისლინგის, 2 ჰა გევურტსტრამინერის და 24 ჰა საფერავის ჯიშის ვენახები. ვენახების გაფართოების პროცესი მომავალ წლებშიც გაგრძელდება.

კომპანიის მიზანია წარმატებით განავითაროს აგროტურიზმის მიმართულებაც. სწორედ ამ მიზნით 2021 წელს შპს „ასკანელი ვაინერი & დისტილერიმ“ ყვარელში, საწარმოს მიმდებარე ტერიტორიაზე დაიწყო 50 ნომრიანი საერთაშორისო კლასის სასტუმროს მშენებლობა, რომელშიც მომდევნო სამი წლის განმავლობაში 20 მილიონი ლარის ინვესტიციას განახორციელებს. კომპლექსის ექსპლოატაციაში გაშვება დაგეგმილია 2023 წლის ზაფხულისთვის.

4. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

2020-2021 წლების ფინანსური მაჩვენებლებიდან ხაზგასმით უნდა აღინიშნოს შემოსავლების სტაბილურობის შენარჩუნება მიუხედავად ბაზარზე არსებული გამოწვევებისა.

წმინდა მოგება 2020 წელთან შედარებით საგრძნობლად გაზრდილია, თუმცა აღნიშნული არ უკავშირდება კომპანიის ძირითად საქმიანობას და კაპიტალ მეთოდით აღრიცხული ინვესტიციების შედეგია.

ლიკვიდურობის მხრივ კომპანიის მაჩვენებლები ნაწილობრივ გაუარესებულია, რაც ასახულია შესაბამის კოეფიციენტებში – მიმდინარე კოეფიციენტი – 2018 წ. - 1.0, 2019 წ. - 1.1, 2020 წ. - 1.3, 2021 წ. – 1.0; სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი – 2018 წ. - 0.2, 2019 წ. - 0.5, 2020 წ. – 0.2, 2021 – 0.6. მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტის კლება მარაგების ნაშთის შემცირებით არის განპირობებული.

შპს „ასკანელი ვაინერი & დისტილერის“ გრძელვადიანი აქტივები განუზრელად იზრდება, რაც ვენახებში და საწარმოო სიმძლავრეების გაზრდაში ინვესტირების შედეგია.

კომპანიის სესხები ბოლო წლების განმავლობაში მზარდია, რაც განპირობებულია ძირითადი საშუალებების მზარდი დაფინანსების საჭიროებით; თუმცა სესხების აქტივებთან თანაფარდობა სტაბილურია.

ვალის აქტივებთან ფარდობა _ 2018 წ. - **0.53**, 2019 წ. - **0.49**, 2020 წ. - **0.53**, 2021 წ. - **0.58**.

მიუხედავად ქვეყანაში არსებული ეპიდემიური სიტუაციისა კომპანიაში დასაქმებულთა რაოდენობა 2020 წლის განმავლობაში არ შემცირებულა.

5. რისკების მიმოხილვა

საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი კონტრაქტორის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობას გულისხმობს. შპს „ასკანელი ვაინერი & დისტილერი“-ს ძირითადი პარტნიორია შპს „ასკანელი ძმები“, რომელიც ფინანსურად სტაბილური კომპანიაა და დებიტორული დავალიანების ამოღების რისკი არსებითი არ არის.

პროდუქციის რისკი. კომპანია ყოველწლიურად გადის ISO აუდიტს და სერტიფიცირებას. ხარისხის მართვის სამსახურის მიერ შემუშავებული პოლიტიკის საფუძველზე პროდუქციის სტანდარტებთან შეუსაბამობით გამოწვეული ზიანის რისკი მინიმალურია.

სხვა რისკები. კომპანიის საქმიანობის პროფილიდან გამომდინარე არსებობს სტიქიური მოვლენებისგან გამოწვეული ზარალის დადგომის რისკები, რომელიც ნაწილობრივ მართვადია. 2019-2021 წლებში იყო დასეტყვის და წყალდიდობის რამდენიმე შემთხვევა, თუმცა მატერიალური ზიანი არ ყოფილა კომპანიის ეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესების მიზეზი.

დირექტორი

ბესიკი კველიშვილი

